

ცვლილებები ძალაშია **30.07.2024-დან**.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება-დამატებები:

1. მუხლი 29⁴. „საბაზისო საბანკო პროდუქტები - „სახელფასო ანგარიში“ შევიდეს შემდეგი ცვლილება/დამატებები:

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ“ „სახელფასო ანგარიში“. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც არიან ჩართულები ე.წ. სახელფასო პროექტში. მოცემული პროდუქტით სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში, კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს ინტერნეტ/მობაილ ბანკი.

3. ცალკეული საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობისათვის კლიენტი დამატებით იხდის შესაბამისი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილ საკომისიოს.

4. „საბაზისო საბანკო პროდუქტი „სახელფასო ანგარიში“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტს ავტომატურად გაუქტიურდება ქვემოთ მოცემული საბანკო პროდუქტები:

4.4. პლასტიკური ბარათი - 1 ცალი სადებეტო MasterCard FlexCard აქტიური ბარათი. (ხოლო, საბანკო ანგარიშის დისტანციური არხით გახსნის შემთხვევაში, შეუძლია ბარათი შეუკვეთოს ინტერნეტ ბანკით);

ასევე, 4.6. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი ტექსტი:

კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.1 (მხოლოდ დამატებით გასახსნელი ანგარიშების ნაწილში) - 4.6 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე (გარდა 4.3 ქვეპუნქტისა), რა დროსაც საბაზისო საბანკო პროდუქტი „სახელფასო ანგარიშის“ მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.

„8“ და „9“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

8. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტების/მომსახურების გარდა, სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, ბანკის მიერ დადგენილი საკომისიოს გარდა კლიენტი იხდის სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტის სარგებლობისათვის/მომსახურების მიღებისათვის დაწესებულ საკომისიოს.

9. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში (გარდა მე-4 პუნქტში მოცემული გამოწვევისა), ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და დახუროს ანგარიში, ასევე აღნიშნული გამოწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვიტას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.

2. მუხლი 29⁵. „საბაზისო საბანკო პროდუქტები - „დაირექტი“ შევიდეს შემდეგი ცვლილება/დამატებები:

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ“ „დაირექტი“. მოცემული პროდუქტით სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში, კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს ინტერნეტ/მობაილ ბანკი.

3. ცალკეული საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობისათვის კლიენტი დამატებით იხდის შესაბამისი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილ საკომისიოს.

4. „საბაზისო საბანკო პროდუქტი „დაირექტი“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტს ავტომატურად გაუქტიურდება ქვემოთ მოცემული საბანკო პროდუქტები:

4.4. პლასტიკური ბარათი - 1 ცალი სადებეტო MasterCard FlexCard აქტიური ბარათი. დამატებით, კლიენტი უფლებამოსილია შეუკვეთოს 1 ცალი Visa FlexCard ბარათი (ხოლო, საბანკო ანგარიშის დისტანციური არხით გახსნის შემთხვევაში, შეუძლია ბარათი შეუკვეთოს ინტერნეტ ბანკით);

ასევე, 4.8. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი ტექსტი:

კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.1 (მხოლოდ დამატებით გასახსნელი ანგარიშების ნაწილში) - 4.8 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე (გარდა 4.3 ქვეპუნქტისა), რა დროსაც საბანკო საბანკო პროდუქტი “**დაირექტის**” მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება. ,

„7“, „8“ და „9“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7. ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს არსებული სს „პროგრედიტ ბანკის“ კომერციული გაცვლითი კურსით, 4.5 პუნქტის პირობების გათვალისწინებით.

8. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტების/მომსახურების გარდა, სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტი/მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, ბანკის მიერ დადგენილი საკომისიოს გარდა კლიენტი იხდის სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტის სარგებლობისათვის/მომსახურების მიღებისათვის დაწესებულ საკომისიოს.

9. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში (გარდა მე-4 პუნქტში მოცემული გამოწვევისა), ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და დახუროს ანგარიში, ასევე აღნიშნული გამოიწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.

3. მუხლი 29⁶. „საბანკო საბანკო პროდუქტები - „მწვანე ანგარიში“ შევიდეს შემდეგი ცვლილება/დამატებები:

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბანკო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ“ “**მწვანე ანგარიში**”. მოცემული პროდუქტით სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში, კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს ინტერნეტ/მობაილ ბანკი.

3. ცალკეული საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობისათვის კლიენტი დამატებით იხდის შესაბამისი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილ საკომისიოს.

4. „საბანკო საბანკო პროდუქტი “**მწვანე ანგარიში**” სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტს ავტომატურად გაუაქტიურდება ქვემოთ მოცემული საბანკო პროდუქტები:

4.4. პლასტიკური ბარათი - 1 ცალი მასთერქარდ სადებეტო ProGreen ბარათი. დამატებით, კლიენტი უფლებამოსილია შეუკვეთოს 1 ცალი Visa FlexCard ბარათი (ხოლო, საბანკო ანგარიშის დისტანციური არხით გახსნის შემთხვევაში, შეუძლია ბარათი შეუკვეთოს ინტერნეტ ბანკით);

ასევე, 4.8. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი ტექსტი:

კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.1 (მხოლოდ დამატებით გასახსნელი ანგარიშების ნაწილში) - 4.8 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე (გარდა 4.3 ქვეპუნქტისა), რა დროსაც საბანკო საბანკო პროდუქტი “**მწვანე ანგარიშის**” მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.

„7“, „8“, „9“ და „11“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

7. ერთი სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია იწარმოებს ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღეს არსებული სს „პროგრედიტ ბანკის“ კომერციული გაცვლითი კურსით, 4.5 პუნქტის პირობების გათვალისწინებით.

8. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პროდუქტების/მომსახურების გარდა, სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, ბანკის მიერ დადგენილი საკომისიოს გარდა კლიენტი იხდის სხვა/დამატებითი/ახალი საბანკო პროდუქტის სარგებლობისათვის/მომსახურების მიღებისათვის დაწესებულ საკომისიოს.

9. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში (გარდა მე-4 პუნქტში მოცემული გამონაკლისისა), ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და დახუროს ანგარიში, ასევე აღნიშნული გამოიწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.

11. „მწვანე ანგარიში“-თ მოსარგებლე (შესაბამისად, «Pro Green» ბარათის მფლობელი) კლიენტის მოთხოვნა საბანკო მომსახურების პირობების ცვლილების შესახებ („მწვანე ანგარიში“-დან გადასვლა წინამდებარე თავში მოცემული საბანკო მომსახურების სხვა პირობებზე), გამოიწვევს მის სარგებლობაში არსებული პლასტიკური ბარათის («Pro Green» ბარათი) გაუქმებას და კლიენტს, მოთხოვნის შემთხვევაში, უფასოდ დაურეგისტრირდება ახალი ბარათი შესაბამისი პირობებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი აირჩევს „მინიმალ“-თ მომსახურებას, რა დროსაც კლიენტს არ აქვს ბარათის სარგებლობის უფლება. ხოლო, თუ კლიენტი უკვე სარგებლობს სხვა საბანკო მომსახურების პირობებით და სურს „მწვანე ანგარიში“-თ სარგებლობის დაწყება, მას სურვილის შემთხვევაში შეუნარჩუნდება არსებული ბარათი და უფლებამოსილია შეუკვეთოს «Pro Green» ბარათი.

4. მუხლი 29⁷. „საბაზისო საბანკო პროდუქტები - „ანგარიში სტანდარტი“ შევიდეს შემდეგი ცვლილება/დამატებები:

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ“ „ანგარიში სტანდარტი“ მოცემული პროდუქტით სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში, კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს ინტერნეტ/მობაილ ბანკი.

3. ცალკეული საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობისათვის კლიენტი დამატებით იხდის შესაბამისი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილ საკომისიოს.

4. „საბაზისო საბანკო პროდუქტი „ანგარიში სტანდარტის“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტს ავტომატურად გაუქმდებიან ქვემოთ მოცემული საბანკო პროდუქტები:

ასევე, 4.5. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი ტექსტი:

კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.1 (მხოლოდ დამატებით გასახსნელი ანგარიშების ნაწილში) - 4.5 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე (გარდა 4.3. ქვეპუნქტისა), რა დროსაც საბაზისო საბანკო პროდუქტი „ანგარიში სტანდარტის“ მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.

მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში (გარდა მე-4 პუნქტში მოცემული გამონაკლისისა), ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და დახუროს ანგარიში, ასევე აღნიშნული გამოიწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.

5. მუხლი 29⁷. „საბაზისო საბანკო პროდუქტები - „მინიმალ“- შევიდეს შემდეგი ცვლილება/დამატებები:

1. ბანკსა და კლიენტ ფიზიკურ პირს შორის ფორმდება ხელშეკრულება „საბაზისო საბანკო პროდუქტებით სარგებლობის შესახებ“ „**მინიმალური**“. მოცემული პროდუქტით სარგებლობის მთელი ვადის განმავლობაში, კლიენტი ვალდებულია შეინარჩუნოს ინტერნეტ ბანკი.

3. ცალკეული საბანკო პროდუქტებით/მომსახურებით სარგებლობისათვის კლიენტი დამატებით იხდის შესაბამისი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის დროისათვის ბანკის მიერ დადგენილ საკომისიოს.

4. „საბაზისო საბანკო პროდუქტი „**მინიმალური**“ სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით კლიენტს ავტომატურად გაუაქტიურდება ქვემოთ მოცემული საბანკო პროდუქტები:

ასევე, 4.3. პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი ტექსტი:

კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.1 (მხოლოდ დამატებით გასახსნელი ანგარიშების ნაწილში) და 4.3 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე, რა დროსაც საბაზისო საბანკო პროდუქტი „**მინიმალური**“ მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.

მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

9. აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ მომსახურებაზე ან მასში შემავალ რომელიმე პროდუქტზე/მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში (**გარდა მე-4 პუნქტში მოცემული გამოწვევისა**), ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს კლიენტთან ურთიერთობა და დახუროს ანგარიში, ასევე აღნიშნული გამოიწვევს კლიენტთან გაფორმებული ყველა/ნებისმიერი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას. აღნიშნულ პირობაზე კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას და მისი დამატებითი აქცეპტი ბანკთან სამართლებრივი ურთიერთობის/ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტაზე/ანგარიშების დახურვაზე შემდგომში აღარ მოითხოვება.